იაპონიის თვითიზოლაციის დასასრული 1854 წელს და მისი შედეგები

ნანა გელაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება იაპონიის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, კერძოდ, ქვეყნის თვითიზოლაციის დასრულებას 1854 წელს ანუ მის ე. წ. გახსნას აშშ-ს ძალისხმევით და მის შედეგად განვითარებული მოვლენების განხილვას. აღნიშნული საკითხები წარმოჩენილია როგორც საერთაშორისო ურთიერთობების, ისე იაპონიის შიდა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შუქზე. ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და იდეოლოგიური ერთიანობის დაკარგვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მმართველი ტოკუგავას ხელისუფლება ჯერ კიდევ XVII საუკუნის დამდეგიდან ანტიდასავლური და ანტიქრისტიანული პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა, რაც საბოლოოდ ქვეყნის დახურვით დაგვირგვინდა. იაპონია თვითიზოლაციაში ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე იმყოფებოდა - 1639 წლიდან 1854 წლამდე. ამ ხნის მანძილზე მინიმალური ურთიერთობები მას შენარჩუნებული ჰქონდა მეზობელ კორეასთან და ჩინეთთან, ხოლო ევროპის ქვეყნებიდან - მხოლოდ ჰოლანდიასთან.

აშშ-ს დაჟინებული მოთხოვნების შედეგად, 1854 წლის 31 მარტს ქ. კანაგავაში იაპონიასა და აშშ-ს შორის ხელი მოეწერა „მშვიდობისა და მეგობრობის“ პირველ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც აშშ-მ იაპონიაში მთელი რიგი პრივილეგიები მოიპოვა. ამერიკის კვალდაკვალ იაპონიისგან ანალოგიური შეღავათები მოითხოვეს ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა და რუს-

ეთმა. იაპონიაში იმხანად არსებული რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ადგილობრივი ხელ-ისუფლება იძულებული იყო ქვეყნის სუვერენული უფლებების შემლახავი, კაბალური ხელშეკრულებები მათთანაც გაეფორმ-ებინა. მართალია, იაპონია გაბმული აღმოჩნდა უთანასწორო ხელშეკრულებათა ქსელში, თუმცა ამ შემთხვევაში უმთავრესი ის იყო, რომ ქვეყნის ისტორიის სრულიად ახალი ფურცელი გადა-იშალა. ხაზგასასმელია, რომ იაპონია თამამად შეეგება ახალი დროის გამოწვევებს და წარმატებით გაართვა თავი წამოჭრილ დაბრკოლებებს, რის შედეგადაც ის აქტიურად ჩაერთო მსოფ-ლიოს საერთაშორისო ურთიერთობებში. საბოლოო ჯამში, სწო-რედ იაპონიის გახსნის უშუალო შედეგს წარმოადგენდა ქვეყან-აში განვითარებული ინოვაციური პროცესები პოლიტიკურ, სოც-იალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, რომლებიც განხილული და გაანალიზებულია წარმოდგენილ ნაშრომში.

საძიებო სიტყვები: იაპონია; აშშ; თვითიზოლაცია; ტოკუგავა; შიოგუნატი.

შესავალი

საისტორიო მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს კვლევის არეალის გაფართ-ოება როგორც გეოგრაფიული თვალსაზრისით, ისე დროსა და სივრცეში. ამაში, უპირველეს ყოვლისა, მოაიზრება საქართველო-სგან გეოგრაფიულად დაშორებული ქვეყნების კომპლექსურად და სიღრმისეულად შესწავლა. ამჯერად ჩვენი ყურადღება ფოკ-უსირებულია შორეული აღმოსავლეთის ისეთ საინტერესო ქვეყ-ანაზე, როგორიცაა იაპონია. თავისი გამორჩეული ადგილმდება-რეობის გამო, საუკუნეთა მანძილზე იაპონია თვითმყოფადი კულტურისა და სპეციფიკური მახასიათებლების მქონე სახელმ-წიფოდ ყალიბდებოდა, რომელიც დღესდღეობით მაღალგან-ვითარებულ, მსოფლიოს ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანას წარმოა-დგენს. აქედან გამომდინარე, ძალზე დიდია არა მხოლოდ ინტ-ერესი იაპონიის წარსულისა და აწმყოს, კულტურისა და საზო-გადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სეგმენტების მიმართ,

არამედ ნათლად იკვეთება აკადემიურ, მეცნიერულ დონეზე მისი სიღრმისეულად შესწავლის აუცილებლობაც. მითუმეტეს, რომ ქართულ ენაზე იაპონიის შესახებ ლიტერატურა მწირია, მოთხოვნილება მასზე კი - სულ უფრო მზარდი.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე სამეცნიერო პუბ-ლიკაცია. კერძოდ, წარმოდგენილია ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპი იაპონიის ისტორიიდან, როდესაც აშშ-ს ძალისხმევით, დასრულდა ქვეყნის თვითიზოლაციის ხანგრძლივი პერიოდი (1854 წ.) და იაპონია მოულოდნელად ახალი გამოწვევების წინაშე პირისპირ აღმოჩნდა. იზოლაციონიზმის პოლიტიკის მიზეზების და შედეგების შესახებ მოკლე ისტორიული წიაღს-ვლის შემდეგ, ნაშრომში განხილული და გაანალიზირებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: იაპონიის ე. წ. გახსნის გარემ-ოებები და მისი შედეგები, დასავლეთის დიდ სახელმწიფოთა ინტერესები იაპონიაში, მათ მიერ თავს მოხვეული ქვეყნის სუვ-ერენული უფლებების შემბღალავი ხელშეკრულებები. ამ ფონზე ნაშრომში წარმოდგენილია იაპონიის გახსნის შემდგომ განვითა-რებული დრამატული მოვლენები, კერძოდ: შიოგუნატის უკანას-კნელი დინასტიის - ტოკუგავას მმართველობის კრიზისი და მისი დამხობა, იმავდროულად გაჩაღებული სამოქალაქო ომი, ე. წ. მეიჯის (იაპონურად ნიშნავს - განათლებული მმართველობა) რესტავრაცია და რეფორმები 1867/1868 წწ., იმპერატორის ოდინ-დელი პოლიტიკური უფლებამოსილების აღდგენა, ანტიდასა-ვლური ტალღის აგორება იაპონიაში და სხვ. დაბოლოს, ნაშრ-ომში გაანალიზებულია იაპონიის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის სპეციფიკა, ახალი რეალობის გაცნობიერების და გათვალისწინების საფუძველზე.

მეთოდი

ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების შესწავლის მიზნით, გამოყენებულია ისტორიოგრაფიაში აპრობირებული კვლევის აკადემიური მეთოდები, რაც გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოძიებას, პროცესების მახასიათებლების წარმოჩენას და მათ ანალიზს დასკვნის გამოტანის მიზნით; გამოყენებულია ასევე სამეცნიერო ლიტერატურის ურთიერთშეჯერება-შესწავ-ლაზე დაფუძნებული ისტორიულ-შედარებითი, შინაარსობრივი

ანალიზის და კვლევის მეთოდი. ნაშრომი ეფუძნება განსახილველი თემის შესახებ მოძიებულ სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას და სათანადო ანალიზს.

შედეგები

იაპონიის თვითიზოლაციის პერიოდი, რომელიც ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე გრძელდებოდა, 1854 წელს დასრულდა. კერძოდ, არაერთი უშედეგო მცდელობის შემდეგ, საბოლოოდ კი უკვე ომის მუქარით, აშშ-მ აიძულა იაპონიის ხელისუფლება, რომ გაეხსნა ქვეყანა გარე სამყაროსათვის. რამდენადაც XIX საუკუნის შუა ხანებისთვის იაპონია მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური კუთხით, მას არ ძალუძდა ადეკვატური წინააღმდეგობა გაეწია აშშ-ს სამხედრო ძალებისთვის. აქედან გამომდინარე, იაპონიის ხელისუფლება იძულებული იყო დასავლეთის სახელმწიფოებთან უთანასწორო ხელშეკრულებათა მთელი სერიისთვის მოწერა ხელი - უპირველეს ყოვლისა აშშ-თან, შემდეგ რუსეთთან, ჰოლანდიასთან, ინგლისთან და საფრანგეთთან. ამრიგად, იაპონიის გახსნის უპირველესი შედეგი ის იყო, რომ ის დასავლეთის მძლავრ სახელმწიფოთა არა თანასწორუფლებიანი პარტნიორი, არამედ მათზე დამოკიდებული ქვეყანა ხდებოდა. თუმცა, მედლის მეორე მხარეს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დასავლური გავლენის წყალობით, იაპონიამ სწრაფი ტემპით დაიწყო დრომოჭმული ფეოდალური ურთიერთობებიდან კაპიტალიზმზე გადასვლა. ამას მოჰყვა სხვა პროგრესული ხასიათის მოვლენები იაპონიის ისტორიაში: სამხედრო-ფეოდალური სისტემის - შიოგუნატის დამხობა და იმპერატორის პოლიტიკური ძალაუფლების აღდგენა, ბურჟუაზიული ხასიათის რეფორმები და სხვა ინოვაციური გარდაქმნები. ყოველივე ამან ნიადაგი შეამზადა ზემოთ ხსენებული უთანასწორო ხელშეკრულებების გასაუქმებლად, რაც იაპონიამ წარმატებით განახორციელა XIX საუკუნის მიწურულს.

დისკუსია

იაპონია გარე სამყაროსთვის დაიხურა XVII საუკუნის 30-იან წლებში. კერძოდ, 1639 წელს იმხანად მმართველმა ტოკუგავას ხელისუფლებამ (რომელიც ხელისუფლების სათავეში 1603 წელს მოვიდა), ქვეყნის თვითიზოლაციაში მოქცევა დააანონსა, რასაც ფრიად დრამატული მოვლენები უძღოდა წინ. საქმე ის იყო, რომ იაპონიაში მოზღვავებული ევროპელი ვაჭრების, დიპლომატების, კათოლიკე მისიონერების და სხვა უცხოელთა მეტისმეტი აქტიურობა უკვე აშკარა საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ერთიანობას. განსაკუთრებით სახიფათო გახდა მისიონერთა საქმიანობა, რომელთა გავლენის სფეროები იაპონიაში სულ უფრო ფართოვდებოდა. ისინი მასობრივად ნათლავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, უნებართვოდ აგებდნენ ეკლესიებს, არღვევდნენ ადგილობრივ კანონებს, ესპანელი ფრანცისკანელები კი იაპონიაში ესპანეთის გაბატონებაზეც მიანიშნებდნენ (The Cambridge History of Japan: 1997: 359-361). ასე რომ, მისიონერთა საქმიანობა იაპონიაში პოლიტიკური აგრესიისა და კოლონიზაციის ავანგარდად იქცა. ბუნებრივია, რომ ამის გამო იაპონიის ხელისუფლებამ კათოლიკე მისიონერთა დევნა და ანტიქრისტიანული ედიქტების გამოცემა დაიწყო, თუმცა სავაჭრო ურთიერთობები დასავლეთ ევროპასთან გარკვეული ხნის მანძილზე უწინდებურად გრძელდებოდა, რამდენადაც ეს ქვეყნისათვის ძალზე მომგებიანი იყო (გელაშვილი, 2012: 241-242).

ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართულმა სამთავრობო რეპრესიებმა იაპონიაში აჯანყებების მძლავრი ტალღა ააგორა. მათგან ყველაზე მასშტაბური იყო 1637-1638 წლების შიმაბარას (ქ. ნაგასაკისთან მდებარე ნახევარკუნძული) აჯანყება, რომელშიც 37 000 გაქრისტიანებული იაპონელი მონაწილეობდა. სახელისუფლო სამხედრო ძალების მიერ აჯანყება უსასტიკესი მეთოდებით იქნა ჩახშობილი, რაშიც მათ ქმედითი დახმარება გაუწია ჰოლანდიის ფლოტმა (Jansen, 2000: 77-78). აღნიშნული აჯანყება აღმოჩნდა ბოლო წვეთი ქვეყნის თვითიზოლაციისკენ მიმავალ გზაზე. კერძოდ, 1639 წელს შიოგუნმა იემიცუმ ბრძანებულება გამოსცა ქვეყნის დახურვის შესახებ, 1641 წლიდან კი შეწყდა ყველანაირი ურთიერთობები უცხოურ სახელმწიფოებთან. იაპონიამ მინიმა-

ლური დოზით ურთიერთობები შეინარჩუნა მეზობელ კორეასთან და ჩინეთთან, ევროპის სახელმწიფოებიდან კი - მხოლოდ ჰოლანდიასთან. ამ უკანასკნელმა ეს შეღავათი იაპონიის მთავრობისგან მიიღო როგორც სამადლობელი, იაპონელ ქრისტიანთა ზემოთ ხსენებული აჯანყების ჩახშობაში გაწეული დახმარებისათვის.

ისტორიულ პერსპექტივაში იაპონიის თვითიზოლაციას ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. ერთი მხრივ, აზიის მეზობელ სახელმწიფოებისგან განსხვავებით, იაპონიამ შეძლო დასავლეთის კოლონიური ექსპანსიისგან თავის დაღწევა, გარკვეული დოზით ბიძგი მიეცა ადგილობრივი საწარმოო ძალების განვითარებას და ეროვნული ტრადიციული ფასეულობების წინ წამოწევას, მეორე მხრივ კი იზოლაციის პოლიტიკამ ხელი შეუწყო ფეოდალური ურთიერთობების მოძველებული ფორმების სტაბილიზაციას, დასავლეთის სახელმწიფოებისგან მკვეთრად ჩამორჩენას, დამუხრუჭდა ქვეყნის ეკონომიკური პროგრესი და ქვეყანა ხელოვნურად გამოეთიშა მსოფლიო ბაზარს, თავად იაპონელი საზოგადოება კი უამრავი აკრძალვების და შეზღუდვების ქსელში მოექცა. მთავრობის მიერ გამოცემული ბრძანებულებები წარმართავდა ადამიანთა ყველა ქმედებას, აფიქსირებდა ცალკეულ სოციალურ ფენათა უფლებამოვალეობებს, მათ ქცევას, ჩაცმულობაც კი კონტროლდებოდა. ფეოდალური რეგულაციები და მკაცრი ცენზურა ეხებოდა ასევე კულტურის დარგებს (Ebrey and others, 2009: 284-285).

აღსანიშნავია, რომ იზოლაციის მიუხედავად, დროთა ვითარებაში იაპონიაში სხვადასხვა გზით, ევროპიდან გარკვეული ინფორმაციების შეღწევა-გავრცელება დაიწყო. შესაბამისად, ღვივდებოდა იაპონელთა ინტერესი დასავლური სამეცნიერო დარგების (მედიცინის, ასტრონომიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის), ყოფა-ცხოვრების და ზოგადად, სიახლეების მიმართ. კიდევ უფრო გაძლიერდა ეს პროცესი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც ნათლად გამოიკვეთა ტოკუგავას რეჟიმის საყოველთაო კრიზისი. ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს ქვეყნის თვითიზოლაციის წარუმატებელი შედეგები წარმოადგენდა. ამ ფონზე ასპარეზზე გამოჩნდნენ ახალი იდეების მატარებელი განმა-

ნათლებლები, სხვადასხვა სპეციალობის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც აცნობიერებდნენ, რომ აუცილებელი იყო დასავლეთთან ურთიერთობების დამყარება და საამისოდ მათ ხელისუფლების წინაშე წამოაყენეს მოთხოვნა ქვეყნის გახსნის ანუ თვითიზოლაციის დასრულების თაობაზე. გააქტიურდა ფეოდალური ოპოზიციაც, რომელიც უშუალოდ შიოგუნატის წინააღმდეგ გამოდიოდა და მოითხოვდა მის ჩანაცვლებას კანონიერი საიმპერატორო ერთმმართველობის აღდგენით (Marthy, 1973: 59-61; Jansen, 2000: 247). როგორც ისტორიიდან ცნობილია, XII საუკუნის მიწურულს ფეოდალური შიდა ომების შედეგად, იაპონიაში ორხელისუფლებიანობა დამყარდა - ოდითგანვე არსებული საიმპერატორო მმართველობა და 1192 წელს წარმოქმნილი სამხედრო-ფეოდალური ხელისუფლება - შიოგუნატის ინსტიტუტი. შვიდსაუკუნოვანი ბატონობის შემდგომ მწვავედ დადგა დღის წესრიგში შიოგუნატის გაუქმების საკითხი. ყოველივე ზემოთქმულს ზედ ერთვოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით აგორებული გლეხთა და ქალაქის მოსახლეობის აჯანყებათა მძლავრი ტალღა. არსებული რეჟიმის შენარჩუნებას მთავრობა რეფორმების მთელი სერიით (1830-1843) შეეცადა, რომლებიც ძირითადად მიმართული იყო შიოგუნატის მთავარი საყრდენი ძალის - სამურაების სამხედრო ფენის სტატუსის განმტკიცებისკენ. რეფორმები ეხებოდა ასევე მოსახლეობის ზნეობრივ და მორალურ მხარეებს. კერძოდ, იკრძალებოდა ფუფუნება, სახლების მდიდრულად მორთვა, მოთხოვნა იყო განსაკუთრებული ეკონომიის გაწევა ჩაცმულობაში, კვებაში, გართობაში, სამკაულების ტარებაში, კიდევ უფრო გამკაცრდა ცენზურა წიგნების, ასევე თეატრალურ წარმოდგენების მიმართ (История Японии, I, 1999: 578-579). აღნიშნულმა რეფორმებმა, მათი შინაარსიდან გამომდინარე, კიდევ უფრო გამოააშკარავა არსებული რეჟიმის კრიზისი, შიოგუნატი ინერციითღა აგრძელებდა არსებობას. ამის მიუხედავად, მთავრობა პოზიციებს არ თმობდა და მხოლოდ გარკვეულ დათმობებზე წავიდა. კერძოდ, მან თხოვნით მიმართა ჰოლანდიას, რომ იაპონიაში გამოეგზავნათ სხვადასხვა მანქანადანადგარების მოდელები, პრესა, მოეწოდებინათ ინფორმაცია ევროპაში მიმდინარე ინოვაციური პროცესების შესახებ. გარდა

ამისა, უცხოურ ხომალდებს უფლება მიეცათ იაპონიის კონკრეტულ ნავსადგურებში წყალი, საწვავი და სურსათი მოემარაგებინათ (გელაშვილი, 2012: 278).

პარალელურ რეჟიმში, შორეულ აღმოსავლეთში ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის კოლონიური აგრესიის მატებასთან ერთად, მათი ყურადღების ცენტრში უკვე იაპონია მოექცა. ისინი სულ უფრო დაჟინებით ცდილობდნენ ბოლო მოეღოთ მისი თვითიზოლაციისათვის, განსაკუთრებულ აქტიურობას ამ მიმართულებით აშშ და რუსეთი ამჟღავნებდნენ (McOmie, 2006: 31-33; Мейсон, Кайгер, 2020: 259-261). XIXსაუკუნის 30-იანი წლებიდან გახშირდა უცხოური ხომალდების იაპონიის ნაპირებთან მოახლოების მცდელობები, თუმცა ვერ ხერხდებოდა მასთან ურთიერთობის დამყარება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ქვეყანა დახურული იყო გარე სამყაროსთვის. აშშ უკვე ღიად აფიქსირებდა, რომ მას ესაჭიროებოდა სტრატეგიული დანიშნულების ბაზები და ნედლეულის ახალი ბაზრები შორეულ აღმოსავლეთის რეგიონში და ამაში უპირველეს ყოვლისა, იაპონია მოიაზრებოდა. აშშ ჩქარობდა, რათა ევროპის ქვეყნებისათვის დაესწრო იაპონიაში შეღწევა. არაერთი უშედეგო დიპლომატიური მცდელობების შემდეგ, აშშ-ს მთავრობამ იაპონიის მიმართ ძალისმიერი მეთოდის გამოყენება გადაწყვიტა. ამ მიზნით, 1852 წელს იაპონიაში გაიგზავნა 12 სამხედრო ხომალდი გამოცდილი საზღვაო ოფიცრის და პოლიტიკური მოღვაწის მეთიუ პერის (1794-1858) მეთაურობით (Wiley, 1990). 1853 წლის8 ივლისს მისი ესკადრა ურაგას ყურეში შევიდა, დედაქალაქ ედოს (თანამედროვე ტოკიო) სიახლოვეს. ხომალდები ქვემეხებით იყო შეიარაღებული, რომელთა ლულები სანაპიროსკენ იყო მიმართული. ამ გარემოებამ თავისი წინასწარ გათვლილი როლი წარმატებით შეასრულა, რამდენადაც დიდი პანიკა გამოიწვია როგორც იაპონიის საიმპერატორო კარზე, ისე შიოგუნატის მთავრობაში და მთლიანად მოსახლეობაში. ამერიკელთა მოულოდნელი ათდღიანი ვიზიტი 8-დან 17 ივლისამდე, შოკისმომგვრელი აღმოჩნდა იაპონელებისათვის (McOmie, 2006: 91). კომოდორი პერი აღჭურვილი იყო აშშ-ს პრეზიდენტის, ფილმორის წერილით, რომლის თანახმად, პრეზიდენტი ითხოვდა იაპონიის

გახსნას და მოლაპარაკებების დაწყებას, სავაჭრო ურთიერთობების დამყარების მიზნით. პერიმ იაპონიის ხელისუფლებას პასუხისათვის დაბრუნება ერთი წლის შემდეგ დაუთქვა. თუმცა, ის ვადაზე ადრე დაბრუნდა - 1854 წლის 11 თებერვალს შტორმიან დილას აშშ-ს 9 ხომალდი, რომლებზეც 1 600 ადამიანი და 250 ქვემეხი იყო, ქ. კანაგავაში შევიდა.

ხაზგასასმელია, რომ იაპონიის იმჟამინდელი ეკონომიკური, სამხედრო და ფინანსური სისუსტის პირობებში, ტოკუგავას მთავრობას არ ძალუძდა წინ აღდგომოდა აშშ-ს სამხედრო ძალებს. შესაბამისად, ის კომპრომისზე უნდა წასულიყო, რათა თავიდან აეცილებინა ქვეყანაში შეიარაღებული ძალების შეჭრა. ამასთან ერთად, ხელისუფლება შიშობდა, რომ იაპონიას ჩინეთის ბედი არ გაეზიარებინა, სადაც ინგლისის მიერ გაჩაღებული ომის შედეგად (1839-1842 წწ.), ინგლისმა, საფრანგეთმა და აშშ-მ მყარი პოზიციები მოიპოვეს (Адамчик и др., 2004: 624-625). მართალია, იმ ეტაპზე ისინი იაპონიის ნავსადგურებში ვერ შედიოდნენ, მაგრამ გამუდმებით არსებობდა მათგან მოსალოდნელ საფრთხე. ასეთ დაძაბულ ვითარებაში, სამხედრო ძალის მუქარის ფონზე, დაიწყო ხანგრძლივი - ექვსკვირიანი მოლაპარაკებები, რომლებიც საბოლოოდ, 1854 წლის 31 მარტს „მშვიდობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა. აღნიშნული ხელშეკრულება, რომელიც ასევე კანაგავას ხელშეკრულების სახელწოდებითაა ცნობილი, შედგებოდა 12 მუხლისგან და შედგენილი იყო ოთხ ენაზე: ინგლისურ, იაპონურ, ჰოლანდიურ და ჩინურ ენებზე (История Японии, I, 1999: 612). მისი ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობდა: ამერიკული ხომალდებისთვის ორი ნავსადგური იხსნებოდა - შიმოდა და ჰაკოდატე; ამერიკელებმა მიიღეს გაცვლითი ვაჭრობის უფლება; იაპონური იენის გვერდით, მიმოქცევაში ნებადართული გახდა ნებისმიერი სხვა ვალუტა (რაც ერთიანი ფულადი სისტემის არარსებობის პირობებში, ნეგატიურად აისახებოდა ფულად-საფინანსო სისტემაზე); შიმოდაში უნდა გახსნილიყო აშშ-ს საკონსულო; არახელსაყრელი ამინდის შემთხვევაში, ამერიკულ ხომალდებს იაპონიის ნებისმიერ ნავსადგურში შესვლის უფლება ეძლეოდათ. აღნიშნულის

გარდა, აშშ-მ კიდევ სხვა პრივილეგიებიც მიიღო იაპონიაში (Jansen, 2000: 278-279).

ინფორმაცია იაპონიის გახსნის შესახებ მყისიერად გავრცელდა ევროპაში და იაპონიისგან აშშ-თვის მინიჭებული პრივილეგიების ანალოგიური უფლებები მოითხოვეს ინგლისმა, რუსეთმა და ჰოლანდიამ. მძიმე პრესის ქვეშ მოქცეული იაპონიის ხელისუფლება იძულებული იყო მათთანაც გაეფორმებინა კაბალური ხელშეკრულებები, რომელიც ძირითადად აშშ-თან დადებული ხელშეკრულების პირობებს იმეორებდნენ. განსხვავება ის იყო, რომ რუსეთის შემთხვევაში დაემატა ნაგასაკის ნავსადგურის გახსნა, ასევე კურილიის და სახალინის კუნძულების საკითხები (McOmie, 2006: 135-136). ამრიგად, ბოლო მოეღო იაპონიის თვითიზოლაციის ხანგრძლივ პერიოდს, რითაც ქვეყნის ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა.

ისევე, როგორც თვითიზოლაციის შემთხვევაში, ამჯერადაც აღნიშნულ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას, მოჰყვა დადებითი და უარყოფითი შედეგები. დადებითი ის იყო, რომ იაპონელთათვის გაიხსნა გარე სამყარო და გაფართოვდა მათი თვალსაწიერი, ქვეყანა თანდათან ჩაება საერთაშორისო ურთიერთობებში, ჰორიზონტზე გამოჩნდა დასავლური ღირებულებები და ახალი პერსპექტივები, რასაც დიდი ენთუზიაზმით შეეგება ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. ქვეყნის გახსნის უმთავრეს უარყოფით შედეგს კი წარმოადგენდა ის, რომ იაპონია ერთბაშად რამდენიმე უცხოური სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოექცა. უფრო მეტიც, ზემოთ ხსენებული დასავლეთის სახელმწიფოები მიღწეულით კმაყოფილნი არ იყვნენ და აშშ-ს ლიდერობით, დამატებით კიდევ ახალ მოთხოვნებს უყენებდნენ იაპონიის ხელისუფლებას. შედეგად, 1857-1860 წლების მანძილზე მათ იაპონიას თავს მოახვიეს სპეციალური სავაჭრო ხელშეკრულებები, რომლებიც კიდევ უფრო ბღალავდა ქვეყნის ეროვნულ სუვერენიტეტს. კერძოდ, თავისუფალი ვაჭრობისათვის მათთვის გაიხსნა ხუთი ახალი ნავსადგური, იაპონიამ დაკარგა საბაჟო ავტონომია, ამერიკელებმა მიიღეს იაპონიაში მუდმივი ცხოვრების უფლება და კიდევ სხვა პრივილეგიები, რომლებიც ქვეყნის საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევას ნიშნავდა (გელაშვილი,

2016: 57-58). ყოველივე ამას ჯაჭვური რეაქციის სახით მოჰყვა შიდა ბაზარზე უცხოური იაფფასიანი საქონლის მოზღვავება, რამაც განაპირობა ადგილობრივი ეკონომიკის ჩამოშლა, მანუფ-აქტურების სტაგნაცია, უმუშევრობა, იაპონელი ვაჭრების და მრეწველების გაკოტრება და ა. შ. (Богданович, 2003: 137; Totman, 2005: 286-287).

ასე რომ, იაპონიის გახსნის შემდგომი საწყისი ეტაპი ქვეყნი-სთვის საკმაოდ მძიმე და წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდა. ისევე როგორც ჩინეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, იაპონიაშიც დასავლური კაპიტალის შეღწევამ ფეოდალური ურთიერთობების რღვევის პროცესი დააჩქარა. ამ ფონზე მასო-ბრივი ხასიათი მიიღო ტოკუგავას მთავრობისა და ქვეყანაში მოზღვავებულ უცხოელთა წინააღმდეგ მიმართულმა ამბოხებ-ებმა, რომელთა ლოზუნგს წარმოადგენდა „იმპერატორის თაყვ-ანისცემა, ბარბაროსების გაძევება“ (Jansen, 2000: 307-308). ჩამო-ყალიბდა ურთიერთდაპირისპირებული ორი ბანაკი - შიოგუ-ნატის მომხრე და ანტიშიოგუნური კოალიცია, რომელთა შორის გაჩაღებული ბრძოლის საფუძველზე, ქვეყანა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვა. საბედნიეროდ, აღნიშნული დრამატული პერიპეტიები ხანმოკლე აღმოჩნდა. მოვლენათა განვითარებამ რადიკალურად იცვალა გეზი იაპონიის პოლიტიკურ ცხოვრე-ბაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად. კერ-ძოდ, 1866 წლის მიწურულს გარდაიცვალა იმპერატორი კომეი და მის ნაცვლად გამეფდა 15 წლის მუცუჰიტო (1867-1912), რომ-ლის ზეობის ხანას ეწოდა „მეიჯი“ ანუ „განათლებული მმართ-ველობა“ (Keene, 2002). დაახლოებით იმავე პერიოდში გარდაი-ცვალა შიოგუნი იემოჩი და იაპონიის უკანასკნელი შიოგუნი გახდა იოშინობუ (1866-1867). სწორედ ამ მოვლენებმა დააჩქარა იაპონიაში შიოგუნატის დამხობა და ბურჟუაზიული ხასიათის რეფორმების გატარება, რომლებიც იაპონიის ისტორიაში მეიჯის რესტავრაციის სახელით შევიდა. 1868 წლის 3 იანვარს ახალგაზ-რდა იმპერატორმა ტოკუგავას შიოგუნატი დამხობილად აცხადა. შექმნილ ვითარებაში შიოგუნი იოშინობუ იძულებული გახდა იმავე წლის 3 მაისს კაპიტულაცია ეღიარებინა (Мейсон, Кайгер, 2020: 331-332). ამრიგად, დასრულდა ტოკუგავას დინასტიის

მმართველობა იაპონიაში და აღდგენილ იქნა იმპერატორის პოლიტიკური ძალაუფლება. რაც შეეხება 1867/1868 წლების რევოლუციურ გარდაქმნებს, მათ იაპონიის ისტორიაში, უდაოდ, პროგრესული როლი შეასრულეს. მართალია, აღნიშნული რეფორმები სიღრმისეულად არ ეხებოდა ფეოდალური ურთიერთობების ცალკეულ სეგმენტებს, მაგრამ მთლიანობაში მათ ბევრი ინოვაცია შეიტანეს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში - ფულად - საფინანსო, სასამართლო, განათლების, შეიარაღებული ძალების სისტემებში, ადამიანთა უფლებებს საკითხებში და სხვ. (Мейсон, Кайгер, 2020: 335-338). ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმების მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის ჩამორჩენილობის სწრაფად ლიკვიდაცია და დაბრკოლებების აღმოფხვრა კაპიტალისტური განვითარების გზაზე. შედეგად, გაძლიერდა წინააღმდეგობების მუხტი უცხოელ მოძალადეთა მიმართ, ქვეყანა დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შემზადდა ნიადაგი დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ თავს მოხვეული უთანასწორო ხელშეკრულებებისგან გასათავისუფლებლად, რაც XIX საუკუნის მიწურულს, უკვე მომძლავრებულმა იაპონიამ, წარმატებით განახორციელა. რამდენადაც ეს უკვე განხილვის სხვა თემას წარმოადგენს, მას ცალკე ნაშრომი მიეძღვნება.

დასკვნა

ამრიგად, იაპონიის ხანგრძლივი თვითიზოლაცია (1639-1854) აშშ-ს ძალისხმევით დასრულდა. გახსნის შემდგომი საწყისი ეტაპი ქვეყნისათვის წინააღმდეგობებით აღსავსე და რთული იყო, რამდენადაც ის ერთბაშად სრულიად უცხო გამოწვევების პირისპირ აღმოჩნდა. თუმცა, გარკვეული ხნის შემდგომ, იაპონია წარმატებით გაუმკლავდა არსებულ პრობლემებს როგორც საშინაო, ისე საგარეო ფრონტზე. ეს პროცესი დააჩქარა შიოგუნატის, როგორც დრომოჭმული ფეოდალური ინსტიტუტის გაუქმებამ, ტოკუგავას დინასტიის მმართველობის დამხობამ, 1867/1868 წლების მეიჯის რეფორმებმა, ასევე მასშტაბურმა ანტიფეოდალურმა ბრძოლამ, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან იყო შერწყმული. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად,

თანდათან იაპონიის ტრანსფორმაცია მოხდა, ჩამორჩენილი ქვეყნიდან ის შორეული აღმოსავლეთის რეგიონის უძლიერეს და გავლენიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

დამოწმებული ლიტერატურა

გელაშვილი, ნ. (2012). *იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში.* თბილისი: გამომცემლობა, უნივერსალი.

გელაშვილი, ნ. (2016). აშშ-იაპონიის პირველი სავაჭრო ხელშეკრულება. *ამერიკის შესწავლის საკითხები.* N 6. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

Ebrey, P., Walthall, A.,Palais, J. (2009). *East Asia – a Cultural, Social and Political History*. USA: Publishing house Wadsworth.

Jansen, M. B. (2000). *The Making of Modern Japan*. London: Harvard University Press.

Keene, D. (2002). *Emperor of Japan Meiji and his World – 1852 – 1912*. New-York: Columbia University Press.

Marthy, N. (1973). *The Rize of Modern Nationalism in Japan.* Delhi.

McOmie, W. (2006). *The Opening of Japan, 1853-1855.* USA: Publishing house Global Oriental.

The Cambridge History of Japan. (1997). Edited by J. W. Hall, M. B. Jansen, M. Kanai, D. Twitchett. vol. 4. Published by: Cambridge University Press.

Totman, C. (2005). *A History of Japan*. New York: Blackwell.

Wiley, P. B. (1990). *Yankees in the Land of Gods: Commodore Perry and the Opening of Japan*. New-York.

Адамчик, В. В., Адамчик, М. В., Бадан, А. Н., Войнич, И. Е. (2004). *История Китая*. Минск: Харвест.

Богданович, Т. А. (2003). Очерки из прошлого и настоящего Японии. *История Японии.* Москва: Русская панорама.

История Японии. (1999). Отв. редактор Жуков, А. Е. т.I. Москва: ИВ РАН.

Мейсон, Р. Г., Кайгер, Д. Г. (2020). *Краткая история Японии*. Москва: Азбука Колибри.

REFERENCES

gelashvili, n. (2012). *Iaponia saukuneta labirintebshi* [*Japan in the Labyrinths of Centuries*]. Tbilisi: Gamomtsemloba,Universali.

gelashvili, n. (2016). *ashsh-iaponiis pirveli savachro khelshekruleba [Japanese first trade treaty with US]. Amerikis shestsavlis sakitkhebi [Journal of American Studies].* N 6. Tbilisi: TSU.

Ebrey, P., Walthall, A.,Palais, J. (2009). *East Asia – a Cultural, Social and Political History*. USA: Publishing house Wadsworth.

Jansen, M. B. (2000). *The Making of Modern Japan*. London: Harvard University Press.

Keene, D. (2002). *Emperor of Japan Meiji and his World – 1852 – 1912*. New-York: Columbia University Press.

Marthy, N. (1973). *The Rize of Modern Nationalism in Japan.* Delhi.

McOmie, W. (2006). *The Opening of Japan, 1853-1855.* USA: Publishing house: Global Oriental.

The Cambridge History of Japan. (1997). Edited by J. W. Hall, M. B. Jansen, M. Kanai, D. Twitchett. vol. 4. Published by: Cambridge University Press.

Totman, C. (2005). *A History of Japan*. New York: Blackwell.

Wiley, P. B. (1990). *Yankees in the Land of Gods: Commodore Perry and the Opening of Japan*. New-York.

Adamchik, V.V., Adamchik, M.V., Badan, A.N., Vojnich, I.E. (2004). *Istoriya Kitaya.* [*History of China*]. Minsk: Harvest.

Bogdanovich, T. A. (2003). *Ocherki Iz Proshlogo I Nastoyashhego Yaponii. Istoriya Yaponii. [Essays from the Past and Present of Japan. History of Japan].* Moskva: Russkaya Panorama.

Istoriya Yaponii. [History of Japan]. (1999). Otv. Redactor Zhukov, A. E. t.I. Moskva: IV RAN.

Mejson, R.G., Kajtrr, D. G. (2020). *Kratkaya Istoriya Yaponii.* [*A Brief History of Japan].* Moskva: Azbuka Kolibri.

THE END OF JAPAN'S SELF-ISOLATION IN 1854 AND ITS AFTERMATH

Nana Gelashvili
Doctor of historical sciences, professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, Georgia

Abstract

The presented paper is dedicated to one of the most important issues in the history of Japan. In particular, the completion of the country's self-isolation in 1854 or its so-called "opening" with the efforts of the United States and discussion of the following events. Indicated issues in the paper are presented in light of international relations as well as political and socio-economical situation in Japan.To avoid the threat of losing country's political independence and ideological unity, the ruling Tokugawa government pursued a strict anti-Western and anti-Christian policy, which eventually culminated in the closure of the country. Japan was in self-isolation for more than two centuries - from 1639 to 1854. It maintained minimal relations with neighboring Korea and China, and from European countries - only with the Netherlands.

With insistence of the United States, on March 31, 1854, the first „Peace and Friendship Treaty" was signed between Japan and the United States, under which the U.S. gained a number of privileges in Japan. Following the footsteps of the U.S similar concessions were demanded from Japan by the great European powers and Russia. Due to the difficult political and economic situation, government was forced to conclude kabbalistic agreements that violated the sovereign rights of the country with them. It is true that Japan found itself in a network of unequal treaties, however, the main thing in this case was that a whole new page of the country's history was unfolded. In the end, the direct result of Japan's opening was positive innovation processes developed in the country in political, socio-economic and

cultural spheres , which are discussed and analyzed in the paper presented.

Key words: Japan; USA; self-isolation; Tokugawn; Shogunate.